თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6214352

ნომერი: AR1931178

თარიღი : 28.10.2022

გაცემის თარიღი : 18.11.2022

გაცნობის თარიღი : 18.11.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თეოფანე დავითაიას ქუჩა, N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბაირამაშვილი პ/ნ 01024066547
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2022 წლის 28 ოქტომბრის №AR1931178 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 28 ოქტომბერს №AR1931178 განაცხადებით მომართა დავით ბაირამაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის

2021 წლის 27 ივლისის №5520264 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 27 ივლისის №5520264 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, IV მ/რ-ში, კაფე "ვაზისუბნი"-ს მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.07.031.020), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 27 ივლისიდან 2023 წლის 27 ივლისის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა ოლეგ კორძაია (პ/ნ: 62003000223).
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2021 წლის 27 ივლისის №5520264 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის - ოლეგ კორძაიას (პ/ნ: 62003000223) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი - მესაკუთრის შპს „ეიმ სითი“-ს (ს/ნ: 206097338) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882022112387, მომზადების თარიღი: 25/02/2022 წ.) თანახმად №01.17.07.031.020 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „ეიმ სითი“ (ს/ნ: 206097338).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22038569; მომზადების თარიღი: 31/03/2022 წ.) შპს „ეიმ სითი“-ს (ს/ნ: 206097338) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გია ბასიაშვილი (პ/ნ: 01022009708). შესაბამისად, არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 27 ივლისის №5520264 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის ვადა „2021 წლის 27 ივლისიდან 2023 წლის 27 ივლისის ჩათვლით“-ის ნაცვლად დაფიქსირდა „2021 წლის 27 ივლისიდან 2024 წლის 27 იანვრის ჩათვლით“. 2021 წლის 09 ივნისის №AR1830307 განცხადებით წარმოდგენილი მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი იქნა 24 (ოცდაოთხი) თვეზე. შესაბამისად, სამსახურის 2021 წლის 27 ივლისის №5520264 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2021 წლის 27 ივლისიდან 2023 წლის 27 ივლისის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია. ამავე კოდექსის საფუძველზე, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ასევე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 სამუშაო დღის ვადაში:

1.1 წარმოადგინოს შპს „ეიმ სითი“-ს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის - გია ბასიაშვილის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული, შესაბამისი წესით დამოწმებული, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
1.2 დააზუსტოს მოთხოვნა მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2022 წლის 28 ოქტომბრის №AR1931178 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge